# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 13 ივნისი 1996 № 48 (273) · ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიო «სიტიში» რჩება



ზურაბ ფოცხვერია,
ნიუკასლიდან

ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი და ავტორიტეტიანი გაზეთი „გარდიანი“, რომელიც მანჩესტერში გამოიცემა, 12 ივნისის ნომერში იუწყება: „მანჩესტერ სიტის“ პრეზიდენტმა ფრენსის ლიმ განაცხადა, რომ არ აპირებს პრემიერლიგის დატოვებით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას გიორგი ქინქლაძის გაყიდვის ხარჯზე“

საქმე ის არის, რომ პირველ ლიგაში ჩამოქვეითებით „სიტის“ არა მარტო შემოსავლის წყაროები შეუმცირდა, არაერთი სარფიანი გარიგების შანსიც დაკარგა. მათ შორის 8,5 მილიონიანი კონტრაქტი ტელეკომპანია SKY-სთან, რომელიც 1997-98 სეზონის დასაწყისიდან უნდა გაფორმებულიყო. თუმცა ლის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იმედი არ გადაუწურავს: „ჩვენ მომავალ სეზონშივე გვსურს პრემიერლიგაში დაბრუნება და ამისთვის გვჭირდება გიორგის შენარჩუნება. ყოვლად გაუგებარია, როცა ამბობენ, თითქოს დიდი თანხის მიღების ცდუნებას ვერ გავუძლებთ. ქინქლაძე ჭკვიანი და უშიშარი მოთამაშეა, რომელიც ღირსეულად გაუმკლავდა სიძნელეებს. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია.“

ინფორმაციის პირველი წყაროდან მისაღებად ნიუკასლიდან „მანჩესტერ სიტის“ შტაბ-ბინაში დავრეკეთ და კლუბის გენერალურ მდივანს ბერნეტ ჰოლსორდს ვესაუბრეთ:

— **„გარდიანიდან“ შევიტყვეთ, რომ ქინქლაძის გაყიდვაზე უარი თქვით. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა?**

— დიახ. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, გაისადვე დავუბრუნდეთ პრემიერლიგას და ქინქლაძემ, ვიმედოვნებთ, ამაში მთავარი როლი უნდა შეასრულოს.

— **ამასთან დაკავშირებით როგორია ქინქლაძის აზრი?**

— გიორგი გუშინ ერთი დღით ჩამოვიდა მანჩესტერში და ოფიციალურად დაადასტურა, რომ „მანჩესტერ სიტიში“ დარჩენა სურს! თუ არ ვცდები, ახლა იგი ფრანკფურტში უნდა იყოს, საიდანაც საქართველოში გაფრენას აპირებს.

— **ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე ხომ არ აპირებს მანჩესტერში დაბრუნებას?**

— რამდენადაც ვიცი, არა. იგი ივლისში ჩამოვა და გუნდთან ერთად ახალი სეზონისათვის სამზადისს შეუდგება.

— „მანჩესტერ სიტისთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი სიახლე:

კლუბმა სამი წლით გააგრძელა ხელშეკრულება თავის სპონსორთან, იაპონურ ელექტრონულ ფირმასთან BROTHER. ეს ფირმა, რომელიც ექვსი წელია „მანჩესტერ სიტის“ მეურვეობს, ახალი კონტრაქტით გათვალისწინებულ პერიოდში მანჩესტერელებს დაახლოებით 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდის.

**Daily Express**

ქინქლაძემ ბოლო მოუღო მის ირგვლივ ატეხილ სპეკულაციურ ჭორებს და ახალ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „სიტისთან“.

# „დინამო“ ბრწყინვალე გუნდი იყო, ქინქლაძე დიდებული ფეხბურთელია

**გვითხრა ინგლისის ნაკრებისა და „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ოთხმოციანი წლების ვარსკვლავმა ტრევორ ბრუკინგმა, რომელსაც „სენტ ჯეიმს პარკის“ პრეს-ლოჟაში შევხვდით.**

დავით კაკაბაძე
ნიუკასლიდან



რუმინეთ-საფრანგეთის მატჩის შესვენებისას შემდგარი ჩვენი ხანმოკლე საუბრის თემა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი არ ყოფილა. თუ რატომ, ამას მკითხველი თავად მიხვდება.

— **1981 წლის 4 მარტი თუ გახსოვთ, როცა „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს“ შეხვდა?**

— „აპტონ პარკზე“ 1:4 რომ წავაგეთ? როგორ არ მახსოვს! შესანიშნავი ფეხბურთელები გყავდათ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყიფიანი. ძალიან მომეწონა ჩივაძეც. მან ულამაზესი გოლი გაგვიტანა 30 იარდიდან. კარგად მახსოვს შენგელიას თამაშიც. მეტად სწრაფი და ალღოიანი თავდამსხმელი იყო. ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება, მაგრამ გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრათ, რომ იმ პერიოდში მართლაც ბრწყინვალე გუნდი გყავდათ.



ტრევორ ბრუკინგი

— **ახლაც გვყავს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი. ერთ-ერთი მათგანის გვარი, წესით, თქვენც უნდა იცოდეთ...**

— ქინქლაძეს გულისხმობთ? იგი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. ამ სეზონში მან ყველას უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ძალიან დამწყდა გული, რომ „მანჩესტერ სიტის“ უმაღლესი დივიზიონის დატოვება მოუხდა, მაგრამ ქართველებმა უნდა იცოდეთ, რომ ქინქლაძეს ამ წარუმატებლობაში იოტისოდენა ბრალიც არ მიუძღვის. პირიქით, მისი თამაში განსაცვიფრებელი იყო. ჩემი აზრით, პრემიერ ლიგისათვის ქინქლაძე სეზონის ერთ-ერთი უძვირფასესი შენაძენი გახლდათ.

— **როგორ ფიქრობთ, დარჩება ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“?**

— ახალ სეზონს ქინქლაძე, ვფიქრობ, მანჩესტერში დაიწყებს. და თუ გუნდს თავიდანვე კარგად წაუვიდა საქმე, მაშინ მან, შესაძლოა, იქვე დაასრულოს ჩემპიონატი. მეორე მხრივ, ქინქლაძის შეძენის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, და სხვა კლუბების მხრიდან „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებზე ზეწოლა იმგვარია, რომ ძნელი სათქმელია, გაუძლებენ თუ არა ეს უკანასკნელნი ამ დაწოლას. არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც „მანჩესტერ სიტის“ მესვეურთა წინაშე დადგება, თუ ისინი ქინქლაძის გაყიდვას გადაწყვეტენ. ეს პრობლემა გულშემატკივრები გახლავთ. თქვენი თანამემამულე „მანჩესტერ სიტის“ ქომაგებმა ამ მოკლე ხანში ისე შეიყვარეს, რომ მისი წასვლა მათთვის დიდი დარტყმა იქნება და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ქინქლაძე უდიდესი ტალანტია.

— **თქვენი ინფორმაციით, რომელ კლუბებს სურთ მისი გადაბირება?**

— საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც სულ ახლახან შევიტყვე, „მანჩესტერ სიტი“ აღარ აპირებს ქინქლაძის გაყიდვას. ამიტომ ახალი სეზონის დაწყებამდე კლუბს ალბათ წინადადებებითაც აღარავინ მიმართავს. მერე კი, როგორც გითხარით, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ დაიწყებენ ჩემპიონატს მანჩესტერელები. თუ პირველი რამდენიმე თივს მანძილზე მათ ცხრილის ზედა საფეხურზე მოახერხეს დამკვიდრება, მაშინ ქინქლაძის გაყიდვის საკითხი, ცოტა ხნით მაინც, დღის წესრიგიდან მოიხსნება. თუმცა, ალბათ მხოლოდ ცოტა ხნით, რადგან მისი შეძენის მსურველთა რაოდენობა სულ დიდი იქნება.

# Give My Love to Everybody in Georgia



ინტერვიუ კევინ კიგანთან ხვალინდელ „სარბიელში“

# როცა სამშობლო შემოგცქერის, ლუდი არ უნდა ხეთქო

ზურაბ მეძველია
ლივერპულიდან



ინგლისური პრესა, რომელიც ჩემპიონატამდე შოტლანდიელთა შანსებს სერიოზულად არც კი აფასებდა, დღეს ხოტბასასხამს სქოთების თავგანწირულ თამაშს ჰოლანდიასთან. „შოტლანდიამ გაკვეთილი მისცა ინგლისს, ოღონდ არა სმაში, არამედ ჯიგრიან თამაშში“ — წერს „დეილი მირორი“. აქაურ გაზეთებს ჯერაც ვერ მოუნელებიათ ინგლისელთა თავაწყვეტილი ქეიფი ჰონკონგიდან მომავალ თვითმფრინავში, ახლა კი, გახსნის მატჩში მათი აზრით, სამარცხვინო თამაშის შემდეგ, ნაკრების სამი ფეხბურთელი რეპორტიორებმა ღამის კლუბში გამოიჭირეს. შერინგემი, რედნეპი და კემპბელი დილის 3-ის ნახევრამდე ლოთობდნენ. როგორც იქ მყოფმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა „სანს“ განუცხადა, ამ სამის დანახვაზე ზიზღის გრძნობა დამეუფლა: ასეთი საზიზღარი თამაშის მერე ცხვირი არ უნდა გამოყო გარეთ, ესენი კი აქ ლუდს ხეთქავენ და ქალებს აბამენო. ამ ფაქტმა პარლამენტის წევრებიც კი ალაშფოთა და ამ სამის ნაკრებიდან გარიცხვა მოითხოვეს, თუმცა ფედერაციამ და ნაკრების ხელმძღვანელობამ დაიცვა ლოთები.

დავუბრუნდეთ შოტლანდიისა და ჰოლანდიის თამაშს. სქოთები ფრემ ერთობ იმედიანად განაწყო, თუმცა მაინც იგრძნობა, რომ მთავარი მიზანი ინგლისის დამარცხებაა (ისე, ახლა ამის გაკეთება და ჯგუფიდან გასვლა ერთია), რასაც გორდონ დიურის ნათქვამიც მოწმობს: „უემბლიზე“ შაბათს ჩვენ უფრო თავისუფლად ვითამაშებთ — ინგლისელებს ხომ მეოთხედფინალში გასვლა აქვთ საფიქრალი, საბრძოლოდ განწყობა არ სჭირდება გარი მაკალისტერსაც: სხვა ქვეყანა რომ ვიყოთ, ფრეც ხელს მოგვცემდა, მაგრამ შაბათს ან გამარჯვება, ან...

„ბარბაროსთა ჯარი“ (სქოთი ფანების თიკუნია) დილამდე აღნიშნავდა კაცურ თამაშს და ქულას. ბარბაროსები უძახე და, მთელი დღე ბირმინგემში ჰოლანდიელ, მათზე არანაკლებ ნაყლაპ გულშემატკივრებთან ერთად ისე მეგობრულად გაატარეს, პრესასაც კი გაუკვირდა. დღევანდელი გაზეთები სავსეა ხელგადახვეული ჰოლანდიელი და შოტლანდიელი ფანების ფოტოებით. ისე, დავრწმუნდი, რომ სქოთ ფანებს ღრიალში ქვეყნად ვერავინ შეედრება. მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მათ ომახიანად დასჭექეს: ინგლისი შემოიყვანეთო... მოკლედ, შოტლანდიელთა თითქოს დაუგეგმავმა ქულამ კიდევ უფრო გაზარდა შაბათის მატჩის ინტერესი. „დეილი მეილის“ რეპორტიორი რობ შეპერდი აფრთხილებს ინგლისელებს: „შაბათს „უემბლიზე“ სუსტი გულების ადგილი არ იქნება, იქ მხოლოდ ბრეივჰართები მიაღწევენ მიზანს“.

რაც შეეხება ვენეიბლზს, მისი აზრით, „შოტლანდიელებმა დამსახურებულად მოიპოვეს ქულა, თუმცა ფაქტია, რომ მათ კარში, კოლინზის მიერ ხელით თამაშისთვის, მსაჯმა აშკარა პენალტი არ დანიშნა“.

ჰოლანდიელები კი, როგორც ყოველთვის, მძიმედ იწყებენ. 2 ქულის დაკარგვას მათ რიგებში პანიკა არ გამოუწვევია. მატჩის შემდეგ ბერხკამპს ვესაუბრეთ და, შოტლანდიელებმა თუ ასე ითამაშეს, ინგლისს მოუგებენ და მეოთხედფინალში ჩვენთან ერთად გავლენო, გვითხრა.

ასე არ ფიქრობენ სპეციალისტები. „ქოვენთრის“ მწვრთნელის რონ ატკინსონის აზრით, 1:0-ს მოიგებს, „ლივერპულის“ მწვრთნელის როი ევანსის პროგნოზი კი 2:0-ია. თავისი აზრი გამოთქვა აქაურმა მოკრივე ნასერ ჰუსეინმაც: შოტლანდია გოლს ვერ გაიტანს, ინგლისი კი რამდენს, ვერ გეტყვითო. პროგნოზი პროგნოზად, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ინგლისს პირველი თამაშის ფრედ დამთავრებამ გუნება წაუხდინა, შოტლანდიას კი — პირიქით.



ზურაბ ფოცხვერია

ნიუკასლიდან

## საფრანგეთი — რუმინეთი 1:0

# ბოგდანმა პატიება ითხოვა

ესპანეთსა და ბულგარეთს შორის ფრედ დამთავრებულმა მატჩმა B ჯგუფის მეორე შეხვედრას მეტი ინტერესი შესძინა. საფრანგეთ — რუმინეთს შორის გამარჯვებული, უდავოდ დიდ უპირატესობას იღებდა. მატჩის წინ ფრანგების მწვრთნელმა ემე ჟაკემ განაცხადა: „პირველი მატჩი ყოველთვის განსაკუთრებით ძნელი და სახიფათოა. მითუმეტეს, როცა საქმე ისეთ ძლიერ მეტოქესთან გაქვს, როგორიც რუმინეთის ნაკრებია."

ეს სიტყვები ბატონმა ჟაკემ თითქმის სიტყვასიტყვით მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზეც გაიმეორა: მე თამაშამდეც ასე ვფიქრობდი და აზრი გამარჯვების მიუხედავადაც არ შემცვლიაო. „რუმინეთის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, მისი დამარცხება უეჭველად წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ წინ ორი არანაკლებ სერიოზული ბრძოლა გველის და ყველაფერი იქ გადაწყდება." — დასძინა მან.

რუმინელთა მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ გაწბილებას არ მალავდა: „ეს მარცხი ჩვენთვის მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმაა. გოლამდე ფრანგებს არაფერში არ ჰქონიათ უპირატესობა და ეს დასანანი ეპიზოდი რომ არა, შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო." ერთ-ერთი რუმინელი კოლეგის დიპლომატიას მოკლებული პირდაპირობით დასმულ შეკითხვაზე, დამნაშავეა თუ არა მეკარე გაშვებულ გოლში, იორდანესკუმ შესაბამისადვე უპასუხა: „რა თქმა უნდა, ბევრწილად ეს გოლი სწორედ მეკარის ბრალი იყო."

თავად ბოგდან სტელიამ მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „როცა ჯორკაეფმა ბურთი საჯარიმოსკენ ჩამოაწოდა, კარიდან გამოვედი, მაგრამ ბოლო მომენტში მომეჩვენა, რომ დუგარის მიხალი დაასწრებდა..."

მატჩის მეორე დღეს გამოშვებული პრესბიულეტენიდან კი შევიტყვეთ, რომ სტელიას საბოლოოდ გაუცნობიერებია თავისი უხეში შეცდომა და მთელ პასუხისმგებლობას თავად კისრულობს: „მე ვერ განვსაზღვრე ბურთის ტრაექტორია. ჩემი შეცდომა, სამწუხაროდ, საბედისწერო გამოდგა, რის გამოც ისლა დამრჩენია, ბოდიში მოვუხადო ჩემი თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს."

ერთადერთი გოლის გამტანი კრისტოფ დუგარი, ბუნებრივია, გაცილებით უკეთეს გუნებაზე იყო: „ნაკრებში ბევრად უარესად ვთამაშობდი, ვიდრე კლუბში. პირველი კარგი თამაში ეროვნულ გუნდში სწორედ ბუქარესტში, რუმინელებთან ბოლო შესარჩევ მატჩში გამომივიდა და მაშინ ვიგრძენი თავი ნაკრების სრულფასოვან წევრად. მე ბედნიერი ვარ, რომ დღესაც კარგად ვითამაშე, ჩემს გუნდს გამარჯვება მოვუტანე და მწვრთნელების ნდობა, ბოლოსდაბოლოს, გავამართლე. მადლობელი ვარ, რომ მათ სჯეროდათ ჩემი და ნაკრებში წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად მაინც მიწვევდნენ."

ბოლოს ისევ ანგელ იორდანესკუს სიტყვებს დავუბრუნდეთ: „ფრანგებმა დღევანდელი მოგებით საგრძნობი უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას მეოთხედფინალის საგზურისათვის. წინ ორი მატჩი გველის და შევეცდებით, ორივე მოვიგოთ. მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა."

## ხორვატია — თურქეთი 1:0

# გამარჯვება მახინჯიც კარგია

უკვე ჩატარებულ შეხვედრათაგან ყველაზე ულიმღამო ნოტინგემის „სიტი გრაუნდზე" მისულმა მაყურებელმა იხილა. ასეთი უსახური თამაში ხორვატებისგან განსაკუთრებით გასაკვირი იყო. ინგლისური გაზეთები ამ მატჩის ანგარიშის უდიდეს ნაწილს თურქ გულშემატკივრებზე საუბარს უთმობენ და უშუალოდ თამაშის მოკლედ აღწერას სჯერდებიან.

„თურქმა გულშემატკივრებმა ხელიდან არ გაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ ნოტინგემი რამდენიმე საათით პატარა სტამბულად ექციათ." — წერს „ინდეპენდენტი".

სტადიონზე გამოჩენილ თურქეთის ნაკრების მწვრთნელს ფათიჰ თერიმს თანამემამულეებმა ისეთი ოვაცია გაუმართეს, ინგლისელი ჟურნალისტი გი ჰოჯსონი აღფრთოვანდა: „ასეთი მისალმება 30 ივნისს უემბლიზე გამარჯვებული გუნდის მწვრთნელისთვისაც ბედნიერება იქნება. „სიტი გრაუნდზე" უფრო დიდი პატივი მხოლოდ ბრაიან კლაფს თუ რგებია."

თავად ფათიჰ თერიმი მატჩის შემდეგ გაწბილებას ვერ ფარავდა: „მართლაც გულდასაწყვეტი მარცხი იყო იმ გუნდთან, რომელიც ჩვენსავით პირველად მონაწილეობს ფინალურ ეტაპზე და თამაშში ვერაფრით გვაჯობა. მიუხედავად ამისა, მინდა, მივულოცო ყველა ჩვენს ფეხბურთელს, რომელთაც დღეს ძალიან კარგად ითამაშეს. ვფიქრობ, ჩვენ სწორ გზაზე ვართ და მომდევნო ორ მატჩშიც შევეცდებით თავი გამოვიჩინოთ."

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი, ბუნებრივიცაა, გაცილებით უკეთეს გუნებაზე იყო. „ჩვენ ვიცოდით, რომ თურქები სერიოზული ოპონენტები იქნებოდნენ, მაგრამ არ გვეგონაა, თუ ასე ძლიერად ითამაშებდნენ. სწორედ ამიტომ ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია."

ბლაჟევიჩის აზრით: „პირველ მატჩში ნანახის მიხედვით, ჩვენი ჯგუფის ფავორიტი დანიის ნაკრებია. ალბათ, დანიელები გავლენ პირველ ადგილზე, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათთან სათამაშოდ ორი ქულის უპირატესობით გავალთ."

მან იმედი გამოთქვა, რომ ზვონიმირ ბობანის მუხლის ტრავმა და ალენ ბოკშიჩის ნატკენი შუბლი ამ ორი წამყვან ფეხბურთელს დანიელებთან თამაშში ხელს ვერ შეუშლის. „თავიდან ორივე სერიოზულად დაშავებული გვეგონა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი შესძლებენ, მომდევნო მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ."

თავად ბობანმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მუხლი, ცოტა არ იყოს, მაწუხებს და დარწმუნებული არა ვარ, რომ დანიელებთან თამაშს შევძლებ. ნებისმიერ შემთხვევაში ამ თემაზე ფიქრი ახლა არ მინდა. მე გადავიღალე და მინდა ცოტა დავისვენო."

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, მან აღნიშნა: „ეს არ იყო შესანიშნავი თამაში, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ მომავალ მატჩებში მაყურებელს ბევრად უკეთესი თამაში ვუჩვენოთ. იმის გამეორება, რაც დღეს მოხდა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება. ეს სიმახინჯე იყო, მაგრამ ჩვენ მოვიგეთ და ეს არის მთავარი!"



ზურაბ მექველია

ლივერპულიდან

## იტალია 2:1 რუსეთი

# ორი ტყვია რუსეთს

„გამოჩნდა ახალი პაოლო როსი" — ასე ასათაურებს ამ თამაშის მიმოხილვას „დეილი ექსპრესი". მას არც „დეილი პოსტი" ჩამორჩება: „ჯალათი ოქროს ბიჭმა კაზირაგიმ ორი ტყვია დაახალა რუსეთს". მოკლედ, კაზირაგის ორმა გოლმა აღაფრთოვანა აქაური პრესა და მატჩის გმირიც არ რჩება ვალში: „ჩემს კარიერაში ეს საუკეთესო მომენტია — 2 გოლის გატანით „ენფილდზე" ბევრი როდი დაიკვეხნის. ბავშვობისას ხშირად ვუყურებდი „ლივერპულის" თამაშებს და დღეს ყრუანტელმა დამიარა, როცა სტადიონის შესასვლელში წარწერა "YOU'LL NEVER WALK ALONE" (ერთ-ერთი ძველი სიმღერის ფრაზაა, ახლა ჰიმნად რომ იქცა. ზ.მ.) დავინახე." კაზირაგი ბედნიერია, თუმცა, ალბათ, ძლიერ დაღლილიც. რადგან ამბობს: „ჩვენ 4 კარგი თავდამსხმელი გვყავს და კარგი იქნება, თუ რიგრიგობით ვითამაშებთ — წინ ხომ ბევრი ძნელი მატჩია." არ ვიცი, დაეთანხმება თუ არა პიერლუიჯის არიგო საკი, რომელმაც განაცხადა, რავანელის კაზირაგი იმიტომ ვამჯობინე, რომ ძოლა და კაზირაგი ერთმანეთს გაცილებით უკეთ უგებენო. საერთოდ, რუსებთან თამაშზე საკიმ ეს თქვა: „ვულოცავ რუსებს — მათ პირველ ტაიმში მშვენიერად ითამაშეს, რასაც ჩვენს გუნდზე ვერ ვიტყვი. მეორეში კი უკეთ ავთამაშდით და ბევრი ხიფათიც შევუქმენით მეტოქეს. დავამტკიცეთ, რომ თამაშის შემოტრიალება შეგვიძლია. ფეხბურთელებთან ერთად მეც ძალზე დავიღალე, თუმცა ბედნიერი ვარ." ნამდვილად არაფერი ჰქონდა სასიხარულო რომანცევს: „მიჭირს, ახლავე განვსაზღვრო, რატომ წავაგეთ მატჩი — ამაზე მეტი უნდა ვიფიქრო, თუმცა ერთი რამ ცხადია: ჩვენმა გამოცდილმა ფეხბურთელებმა უხეში შეცდომებით ითამაშეს." კითხვაზე, რატომო, რომანცევმა უპასუხა: „თუ გგონიათ, რომ მათ მე ვასწავლე ასეთი შეცდომებით თამაში, ძალიან შემცდარხართ." წაგებას ტრაგედიად არ მიიჩნევს კანჩელსკისი, რომლისთვისაც საბედისწერო გამოდგა პერუცისთან შეჯახება — როცა წამოდგა, ანგარიში უკვე 1:2 იყო. ანდრეი ამბობს: „დაკარგული არაფერია. ახლა ჩვენთვის გადამწყვეტი გერმანიასთან მატჩი იქნება. რაც შეეხება მალდინისთან ჩემს დუელს, მიმაჩნია, რომ ჩემი აზრით მსოფლიოში საუკეთესო მცველის წინააღმდეგ წარმატებით ვითამაშე." კანჩელსკისს არ ეთანხმებიან სპეციალისტები. ქირ რედნიჯის აზრი გუშინ მოგახსენეთ. ასეთივეა სხვა ჟურნალისტების შეფასებები. მათ მიაჩნიათ, რომ მალდინიმ საიმედოდ ითამაშა. „მაესტრო მალდინი ბრწყინვალედ დირიჟორობს იტალიის ნაკრებს" — წერს „დეილი ექსპრესი". ერთადერთი იტალიელთაგან, ვინც სპეციალისტები გააწბილა, დელ პიერო იყო, ბებერი დონადონი აშკარად უკეთესი იყოო. იტალიის მოგებამ სასწრაფოდ შეაცვლევინა აზრი ბუქმეიქერებს: იტალიის ჩემპიონობა 9/2-ის ნაცვლად ახლა 72-ზეა. ასევეა გერმანიის ნაკრებიც. მერე მოდიან საფრანგეთი (9/2) და ჰოლანდია (13/2). კაზირაგი კი ბომბარდირობის უპირველეს კანდიდატად იქცა (5/2). ტოტალიზატორები ვახსენეთ და, „თაიმზში" გამოქვეყნდა ცნობა ნაღდი ფულით ყველაზე დიდი ფსონის დადების შესახებ: მავანი 50 ათას გირვანქას ჩამოვიდა, რომ ფინალში იტალია და ესპანეთი გავლენ. თუ ასე მოხდა, ბრიტანეთს ერთით მეტი მილიონერი ეყოლება — მოგება ზუსტად მილიონ გირვანქას უდრის.



ანდრეი კანჩელსკისმა თვით მალდინის წინააღმდეგ ითამაშა ღირსეულად



გოგი ახვლედიანის

[illegible]

გარი მაკალისტერისა

(ანუ ვეძილოგა სკოტთა თამაშისა)

აჰა, დაიწყო ესეცა!

დანიას ფიორდი მოურღვა, ინგლისს ლუდი გაუთბა, ესპანეთმა მულეტა (კორიდის საფრიალოა — ავტ.) დაჰკარგა, რუმინეთმა ცუდად იმკითხავა, ჩეხიას პრალის გაზაფხული მოაგონდა, ჰოლანდიას ტიტები გაუხმა და ასე შემდეგ — თურქეთამდე.

სანაცვლოდ შვეიცარიას ტუზი დაეცა, ტრიფონის ოფლმა კვალი ჰპოვა, უკლინსმანოდაც ივარგეს და სომხებმა, არაბებმა და ზანგებმა ხომ ფრანგული დროშით საერთოდ ააჯორკაფეს იქაურობა.

და ამ ამბავში, არ იქნება არ გაიხსენო შოტლანდიელთა გუნდი.

ასე ჩანს, რომ ჩემპიონატზე გამომგზავრების წინ კრეიგ ბრაუნს თავისი ლოთი-შფოთი ბიჭები შეუკრებია და მათთვის კინოდ და დასაფიქრებლად „ბრეივ ჰართი" ჩაურთავს, აქაოდა, ნახეთ, ვისი გორისა ხართო.

სხვას რას მივაწეროთ შოტლანდიელთა ამგვარი გაშმაგება და თავგანწირვა, აღარ ვიცი.

ცნობილი ამბავია, მსოფლიო საფეხბურთო მედიას თვალში შოტლანდიის ფეხბურთი და გამორჩევით ამ ქვეყნის ნაკრები დაცინვის და სალაღობო სტრიქონთა გამეტების საგანია. ჯერ არ ყოფილა, რომ შოტლანდიელებს რომელიმე ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირიდან გაეღწიოთ. თანაც ამ გუნდს ხან უიღბლობა სტანჯავს, ხან ბურთების უარესი სხვაობა, ხან ჰაი-ჰარად ქცევა და ჟურნალისტსაც რაღა დარჩენია?

მითუმეტეს, რომ შოტლანდიელ მობურთალთ რომ აათვალ-ჩაათვალიერებ, ტვინი აზირებულად ამუშავდება ხოლმე. ამ ბიჭებს თან დასდევთ ერთგვარი შუასაუკუნეობრივი იერი ტყავკაბოსან ჰაილენდელთა და ჭეშმარიტია, რობერტ ბერნსის ლექსებიდან გადმოსულ უდარდელ ლოთ-შფოთებსა ჰგვანან.

და ახლა ეძახე შენ ლოთი-შფოთები და გააბიაბურე ამათი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი. აქ შეკითხვა მაქვს: გინახავთ კარში მდგარი შოტლანდია? ან ასე მდგარი შოტლანდია?

იმ დღეს მოედანზე იყვნენ: სულ დიდ-დიდი, ნატიფი და ნაკვეთი ვარსკვლავები, საერთაშორისო ბანტიან ორდენთა კავალერი ჯეელები ერთ მხარეს და ვინმე მაკ-მაკ-მაკ-მაკ-ბიჭები მეორე მხარეს, რომელთაგან გმირობას არავინ ელის ხოლმე.

ამ ჭიქით კი გაუმარჯოს გარი მაკალისტერს, ვინც ფეხბურთში და ბრძოლაში გაიხარჯა. ის კაცად მიცვნია.

შოტლანდიამ არ წააგო — გსმენიათ ამისთანა ამბავი?

ახლა კი ოდნავ სხვაგვარად მოვისაუბროთ.

ბრახ! და შოტლანდია ჯგუფიდან გავარდა. რას შერები მერე? დღევანდელი გადასახედიდან ასეთი რამ მოსალოდნელად ჩანს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირს ერთი თავისებურება გააჩნია: პირველ ტურს მეორე ტური მოსდევს, მეორეს მესამე. პირველი ტურის შემდეგ არაფრით არ გამოვა, რომ ისევ პირველი ითამაშო. მეორე — უკვე სხვაა. ამიტომ, გუნდები დღითიდღე იცვლებიან. ლოგიკურად რომ მივყვეთ, შოტლანდია ვერ უნდა გავიდეს. 105 წელიწადია ინგლისს ეთამაშება და თითებზე ჩამოსათვლელად თუ მოუგია. შვეიცარიაც დიდად ვერაგი, ბევრის მკისრეველი და მკადრებელი გუნდია. თანაც ვეჭვობ, შოტლანდიურ ტრადიციიდან გამომდინარე, ტარტაროზთა ლაშქარს ობსილა ეყოს. ესეც არ იყო, შოტლანდიელებს ტრადიცია აქვთ ასეთი, სხვა გუნდთან თანაბარ პირობებში აუცილებლად უნდა დაიჩაგრონ.

ეს ყველაფერი კი ასეა, მაგრამ ბურთი რომ მრგვალია და ევეც არ იყოს, ევებ კრეიგ ბრაუნს მართლა გუნდი შეუდგენია? ამ გუნდს კი გამიზნული ტაქტიკა და ასეთი რამეები შეუსწავლია, ეშმაკობა და მოხერხება დაუმატებია ვაჟკაცობის და ძველებურ ოსტატობისათვის და რაღაცას ამზადებს.

ამ ამბის ნახევარი მაინც, უემბლიზე გაირკვევა, თუმცა, ის, რომ შოტლანდია ჩემპიონატის ერთ-ერთი (ჯერჯერობით პაწია) ინტრიგა ყოფილა, უკვე ცხადია, თითქოს დგება ჟამი, რომ შოტლანდიამ ლამაზ უნიფორმათა გარდა სხვა რამითაც უნდა დაგვახსომოს თავი.

მელ გიბსონი ვინ მიგდია?

გარი მაკალისტერ — დაიმახსოვრე ეს ვინმე, ახალი დროის „ბრეივ ჰართი"!

# მცველები კოჭებში მოისუსტებენ

ევრო-96-ის მცველებს რაღაც საშინელი ჯადო შეეყარათ. ჯერ იყო და, გერმანიის კაპიტანმა იურგენ კოლერმა ისე იტკინა მუხლი, რომ ჩემპიონატსაც დაემშვიდობა და, ალბათ, ნაკრებსაც. ახლა კი კონტინენტის პირველობას კიდევ ორი მცველი დააკლდა, ორივე ერთი მიზეზით — კოჭის ტრავმის გამო. თუმცაღა ამ ფეხბურთელებმა ტრავმები განსხვავებულ სიტუაციაში მიიღეს. ინგლისელთა მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა მოთამაშეები ორი დღით შინ გაუშვა. ნეტავ ეს არ მექნაო, ფიქრობს ალბათ, ახლა, რადგან ამ დასვენებამ დიდ ხათაბალაში გახვია კუნძულელთა გუნდი. ჯეინი რედნაპმა, ტედი შერინგემმა და სოლ კემპბელმა ღამის ბარში ილოთეს და მთელი ინგლისის სალანძღავნი გახდნენ, ნიუკასლისა და ნაკრების ცენტრალური მცველი სტივ ჰაუ კი ამ დროს პატიოსნად სახლში ატარებდა, ერთ დილასაც გასავარჯიშებლად გაიქცა და...

„შუ გზაზე ვიყავი, როცა ფეხი პატარა ღრმულში ჩამივარდა. იმწავსმვე მივხვდი, რომ რაღაც უბედურება მჭირდა. ფეხზე წამოდგომა კი არა, მოძრაობაც აღარ შემეძლო. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ჭინჭარში ვეგდე გაუნძრევლად. ბედად, ჩემს სიახლოვეს ქალ-ვაჟი სეირნობდა ძაღლთან ერთად. ისინი წამოდგომაში დამეხმარნენ და სახლშიც მიმიყვანეს".

ეს გარბენი ჰაუის კოჭის მყესების დაწყვეტად დაუჯდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სტივი ევროპის ჩემპიონატს გამოაკლდება. ინგლისელთათვის ორმაგად სამწუხარო ის გახლავთ, რომ განაცხადში ჰაუის გარდა სხვა მოთამაშის შეყვანა აღარ შეუძლით.

რუსეთის ნაკრების მცველმა ევგენი ბუშმანოვმაც იტალიასთან 1:2-ზე წაგებულ მატჩში კოჭის სერიოზული ტრავმა მიიღო. იგი შესვენებაზე იანოვსკით შეცვალეს, რამაც რუსთა დაცვაში ბზარი გააჩინა. რუსების მწვრთნელის რომანცევის თქმით, ბუშმანოვმა კოჭის მყესის ჰალზე სერიოზული ტრავმა მიიღო. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მას საკმაოდ ღრმა ჭრილობა აქვსო. ცხადია ბუშმანოვი ჩემპიონატს ველარ გააგრძელებს.

სარბიელის გუშინდელ ნომერში, შეცდომით, იტალია — რუსეთის ანგარიშად ეწერა 1:0, ნაცვლად 2:1-ისა

# არვინ და არაფერი მიუნხენის „ბაიერნის" გარდა

ევროპის პირველობა ეროვნულ ნაკრებთა შეჯიბრებაა, მაგრამ პრესას არც საკლუბო ამბები ავიწყდება. მაგალითად, ბრიტანულმა მასმედიამ გაავრცელა ცნობა, რომ გერმანელი ვარსკვლავი იურგენ კლინსმანი ინგლისურ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს. კლინსმანმა ეს ჭორი უარყო.

— ჩემს მომავალს მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნს" ვუკავშირებ. მსურს გერმანიის ჩემპიონობა მოვიპოვო და შემდეგ ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც გავიმარჯვო. გაზეთებში გამოქვეყნებული ეს ყოვლად უსაფუძვლო ცნობა რომ წავიკითხე, გამეცინა, — თქვა „ტოტენჰემის" ყოფილმა თავდამსხმელმა.

ჭორი, შესაძლოა, იმიტომ აგორდა, რომ იურგენს ბოლო დროს „ბაიერნის" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელთან ლოთარ მათეუსთან ურთიერთობა გაუფუჭდა. თანაც, ეტყობა, ინგლისელებს მისი თამაში მოენატრათ.

გუშინწინ გერმანიის ნაკრების ვარჯიშის შემდეგ, ბაზაზე კლინსმანი ნახევარი საათის განმავლობაში ინგლისურად და ფრანგულად პასუხობდა გარშემორტყმულ ჟურნალიტთა შეკითხვებს.

— ტრიბუნიდან უფრო ვნერვიულობდი — თქვა ფორვარდმა გერმანია — ჩეხეთის მატჩის გახსენებისას, რომელშიც მან დისკვალიფიკაციის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა — თავს უმწეოდ ვგრძნობდი, რადგან არაფრის შეცვლა შემეძლო.

რაც შეეხება პერსპექტივას, მან ლაკონურად უპასუხა: — კარგი იქნება თუ ჯგუფური ტურნირის შემდეგ შინ გერმანიაში დაბრუნება არ მოგვიწევს.

კოლხეთი — ზემუნი
29 ივნისი. ფოთი. სტადიონი „ფაზისი"

# არ იქნებოდა, რაც არის

**ფკ ზემუნი**
დაარსდა: 1946 წელს
პრეზიდენტი: დუშან ხელარი
მწვრთნელი: ჟორჟე გერუმი
სტადიონი: „გრადსკი" (15 000)

იუგოსლავიური გუნდი არასდროს შედიოდა ამ ქვეყნის ელიტარული კლუბების რიგში. თავისთავად არც არასდროს გაუმარჯვია ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. მან მხოლოდ მას შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი პირველ ხუთეულში, რაც ბალკანეთში დიდი არეულობა დაიწყო და გათამაშებას ხორვატიის, სლოვენიის, ბოსნიისა და მაკედონიის გუნდები გამოაკლდნენ. თუმცა, თავიდან ესაც ძნელად მისაღწევი ჩანდა. 1990-91 წლების სეზონში „ზემუნმა" მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა. მომდევნო სეზონში კი ოდნავ ზემოთ აიწია და ათეულში მოხვდა. 1992-93 წლების გათამაშებაში კი ერთობ საპატიო მე-4 ადგილზე გავიდა და იმავე სეზონში თასის ნახევარფინალამდეც მიაღწია, სადაც „ცრვენა ზვეზდასთან" დამარცხდა 0:2, 2:4. აღმასვლის პერიოდი გუნდში მთავარ მწვრთნელად მილე ტომიჩის მოსვლას დაემთხვა. მან მომდევნო წელს, მართალია, ორი საფეხურით ჩამოაქვეითა „ზემუნი", მაგრამ ეს, ალბათ, გუნდიდან წამყვანი მოთამაშის დეიან გურინოვიჩის წასვლით აიხსნება. ეს ფეხბურთელი 90-91 და 91-92 წლების სეზონებში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა შესაბამისად 9 და 12 გოლით. აქედან წასულმა კი „პარტიზანშიც" გამოიჩინა თავი და 18 გოლის გამტანი მხოლოდ ორით ჩამორჩა ჩემპიონატის ბომბარდირს, აწ უკვე ასტონ ვილელ სავო მილოშევიჩს. ამ სეზონში „ზემუნს" თასზეც მოკრძალებული შედეგი ჰქონდა. იგი მეოთხედფინალში სუბოტიცას „სპარტკთან" დამარცხდა ანგარიშით 1:1, 0:1 სამაგიეროდ, „სპარტაკზე" შური ყოფილმა ზემუნელმა გუროვიჩმა იძია, რომელმაც ფინალში 4 ბურთი გაუტანა ორი თამაშის ჯამში. ამ სეზონის ბოლოს „ზემუნში" დიდი ცვლილებები მოხდა. კლუბს რადოს დაკიჩის ნაცვლად დუშან ხელარი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც გუნდის მწვრთნელად დრაგან ლაკმანოვიჩი მოიყვანა, თუმცა დიდხანს არც მას ელოლიავა და არც მის მემკვიდრეს ვლადა პეიოვიჩს. საბოლოოდ, გუნდი ჟორჟე გერუმმა ჩაიბარა. მას ადრეც სჭერია „ზემუნის" მთავარი მწვრთნელის პოსტი. მიუხედავად ამ დავიდარაბისა, „ზემუნმა" მაინც შესძლო მე-5 ადგილზე გასვლა და ამაში წვლილი მცველსა და გუნდის შტატიან პენალტისტ გორან მილოშევიჩთან ერთად (8 გოლი), 7 ბურთის გამტან ალექსანდრ ზელენოვიჩსაც მიუძღვის. მათ გარდა, კლუბის ლურჯ-მწვანე ფერებს მეკარე რადოვიჩი, მცველები ვორკაპიჩი, მატანოვიჩი, პოპოვი, ტურუდია, ნახევარმცველები შუბერტი, ტომიჩი, პეტროვიჩი, ალექსიჩი და თავდამსხმელების ზელიენოვიჩისა და ბანიაჩის დუეტიც იცავდნენ. გუნდის ლიდერი ნახევარმცველი შუბერტი გახლავთ.

ინტერტოტოზე თამაშის უფლება „ზემუნმა" „ბ" ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლით მოიპოვა. ამ სეზონში იგი დასარჩენად მებრძოლთა რიგებში გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად ინტერტოტოს საგზურსაც გამოჰკრა ხელი.

## ინტერტოტო: ყველა ჯგუფი, ყველა მონაწილე

INTERTOTO CUP

I ჯგუფი: შტუტგარტი (გერმანია), სტანდარდი (ბელგია), ოლბორგი (დანია), ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი), კლიფტონვილი (ჩრდილოეთ ირლანდია)
II ჯგუფი: ვერდერი (გერმანია), ლინცერი (ავსტრია), დიურგარდენსი (შვედეთი), აპოლონი (ლიმასოლი, კვიპროსი), იტროტარფელაგი (ფარერები)
III ჯგუფი: კიობენჰავნი (დანია), აუსტრია (ავსტრია), ერებრუ (შვედეთი), კეფლავიკი (ისლანდია), ბრანიკი (სლოვენია)
IV ჯგუფი: რიედი (ავსტრია), შარლერუა (ბელგია), სილკებორგი (დანია), კრაკოვი ან ზაგლებიე (პოლონეთი), ქონვი (უელსი)
V ჯგუფი: ნანტი (საფრანგეთი), ჰერენვეენი (ჰოლანდია), კაუნასი (ლიტვა), ლილესტრიომი (ნორვეგია), სლიგო როვერსი (ირლანდია)
VI ჯგუფი: რენი (საფრანგეთი), შვედეთის გუნდი, ლუცერნი (შვეიცარია), ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი), ოსიეკი (ხორვატია)
VII ჯგუფი: ანთალიასფორი (თურქეთი), როტორი (რუსეთი), ბაზელი (შვეიცარია), შახტიორი (უკრაინა), ატაკააურა (ბელარუსი)
VIII ჯგუფი: მიუნხენ-1860 (გერმანია), კამაზი (რუსეთი), პოლონეთის გუნდი, ვარნა (ბულგარეთი), კაუჩუკ ოპავა (ჩეხეთი)
IX ჯგუფი: კარლსრუე (გერმანია), ჩუკარიჩკი (იუგოსლავია), უნივერსიტატია (რუმინეთი), დაუგავა (ლატვია), სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)
X ჯგუფი: ლიერსი (ბელგია), გრონინგენი (ჰოლანდია), გაზიანთეპსფორი (თურქეთი), ვაშაში (უნგრეთი), ნარვა (ესტონეთი)
XI ჯგუფი: სტრასბური (საფრანგეთი), ურალმაში (რუსეთი), ქოჯაელისფორი (თურქეთი), ცსკა (სოფია, ბულგარეთი), ჰიბერნიანსი (მალტა)
XII ჯგუფი: გინგამი (საფრანგეთი), ზემუნი (იუგოსლავია), დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი), იარო (ფინეთი), კოლხეთი-1913 (საქართველო)

## დიმა „დინამოში" ბრუნდება

— კუდინოვი უკვე ჩვენია — განაცხადა თბილისის „დინამოს" დირექტორატის წევრმა მერაბ რატიანმა. მისივე თქმით, ახლა „დინამოს" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი შეემატება, „ჩვენ უკვე ვესაუბრეთ „დილას" თავდამსხმელს ზვიად ხორგუაშვილს და სამირედიელ მცველს გია ჩხაიძეს. მათი „დინამოში" გადმოსვლის საკითხიც უკვე გადაწყვეტილია. გვსურს ზვიად ჯელაძის აყვანაც, რომელიც ახლა „ჟემჩუჟინაშია" გასინჯვაზე, თუ იგი უკან დაბრუნდება, ჩვენთან ჩაირიცხება. ჩვენი დიდი სურვილია, „დინამოში" მიხეილ აშვეთიამაც ითამაშოს, მართალია, ახლა მოსკოვის „სპარტაკს" ახლავს უცხოურ შეკრებაზე, მაგრამ, არის ერთი გარემოება: ჩვენი ფედერაციის გადაწყვეტილებით, 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელს უცხოეთში წასვლა ეკრძალება, ასე რომ, წესით აშვეთია რუსეთში სათამაშოდ ვერ უნდა წავიდეს".

რაც შეეხება „დინამოდან" ფეხბურთელთა წასვლას, მერაბ რატიანის თქმით, შესაძლოა, ფეხბურთელები ერთი წლით ათხოვონ სხვა გუნდებს. ეს უფრო „დინამო-2"-ის წევრებზე ითქმის, რომლებზეც ახლა ნამდვილი ნადირობა აქვთ გაჩაღებული საევროპო სამზადისში მყოფი ჩვენი გუნდების ხელმძღვანელებს.

## ვინ წავა „მარგვეთში"?

ზესტაფონის „მარგვეთი" 17 ივნისს შეიკრიბება და დაიწყებს სამზადისს — გვაცნობა კლუბის პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ. ამჟამად იგი გუნდის გასაძლიერებლად შეგულებულ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებით არის დაკავებული. ივლისის დასაწყისიდან კი, როდესაც საბოლოოდ გაირკვევა „მარგვეთში" ჩარიცხულთა ვინაობა, ზესტაფონელები მზადებას ქუთაისის „ტორპედოს" ბაზაზე განაგრძობენ. შევიტყვეთ ისიც, რომ ზესტაფონელთა მთავარ მწვრთნელს ზაურ ჩუბინიძეს ახალი სეზონიდან „ივერიას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი დაეხმარება.

## კალაძეს მენისკის ოპერაცია გაიკეთა

ეს ოთხსაათიანი ოპერაცია თბილისის „დინამოს" მცველს ტრავმატოლოგმა ვაჟა გაფრინდაშვილმა გაუკეთა. კახა კალაძე 22 ივნისიდან ინდივიდუალური გრაფიკით შეუდგა ვარჯიშს, დაახლოებით ერთ თვეში კი სრულად დატვირთვასაც შეძლებს.

## გვარამაძე ბათუმის კარს დაიცავს

და არა კორეის ერთ-ერთი გუნდისა, როგორც ადრე სურდა. ეს ამბავი მას შემდეგ გადაწყდა, რაც ბათუმის ხელმძღვანელობამ ამჟამინდელ მეკარეს თასების თასზე ბათუმელთა სახელით გამოსვლა შესთავაზა. ბათუმის პრეზიდენტი რეზო ჩელებაძე და დათო გვარამაძე 11 ივნისს დილმის ბაზაზე შეხვდნენ ერთმანეთს და საბოლოოდაც მოილაპარაკეს. ამ საუბრის შემდეგ გვარამაძემ განაცხადა, რომ ყველა საკითხი მოგვარებულია და ამიერიდან ბათუმში ვითამაშებო.

შეგახსენებთ, რომ ბათუმელთა ამჟამინდელი მეკარე ნიკა ტოგონიძეც ხაშურის „ივერიიდან" მიიწვიეს.

## გრიშიკაშვილი გაზაევს საბოლოოდ მოელაპარაკება

სოსო გრიშიკაშვილი გუშინ გაემგზავრა ვლადიკავკაზს, რათა „ალანიას" მთავარ მწვრთნელთან ვალერი გაზაევთან საბოლოოდ გაარკვიოს ოსეთის გუნდში მისი წასვლა-დარჩენის საქმე.

კულტურის ცენტრი „ყაზბეგი"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26 (ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904

Atlanta 1996

## გვახსოვს და, მერე როგორ

ახლა მთელი ჩვენი კონტინენტის გულშემატკივრები საფეხბურთო ცხელ-ცხელებას შეუპყრია, მაგრამ სპორტი არც ინგლისის ევროპის ჩემპიონატით იწყება და არც მთავრდება, მითუმეტეს, რომ გველის უფრო გრანდიოზული ასპარეზობა — ატლანტის ოლიმპიური თამაშები, სადაც ნისლიანი ალბიონისაგან განსხვავებით ჩვენი ათლეტებიც იასპარეზებენ, თანაც პირველად — დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით.

ამიტომაც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ახლა, როცა ატლანტის სტარტებამდე 36 დღეღა დარჩა, უპრიანი იქნებოდა პრეს-კონფერენციის გამართვა. გადაწყვიტა და გამართა კიდეც — გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში.

როცა დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა დარბაზს გადახედა, თქვა, ვფიქრობ, დღეს საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკა კარგ დონეზეა. ახლა ჩვენთან იმდენი სპორტული გაზეთი გამოდის, სხვა გაზეთებიც იმდენს წერენ სპორტზე, მეტი რომ აღარაფერი წავიკითხოთ, იმის გაცნობასაც ველარ ვასწრებთო. ამ კომპლიმენტის მერე სინანულით აღნიშნა, მეგონა ეს პრეს-კონფერენცია მეტ ინტერესს გამოიწვევდაო.

იქნებ გამოეწვია კიდეც, მაგრამ დარბაზში შეკრებილ ზოგ ჩვენს კოლეგას პრესკონფერენციის ჩატარების თაობაზე შემთხვევით ერთმანეთის გან გაუგია.

თუმცა, ყველა თუ შეიტყობდა, მაინც საეჭვოა, რომ დარბაზში გავსებულიყო. ან რა საჭიროა ზოგ-ზოგების მოსვლა, აქ არ არის „სარბიელი" და კიდევ ერთი-ორი გაზეთი? აიღებენ და, სადაც საჭიროა, სიტყვასიტყვით გადაიწერენ, სადაც დაჭირდებათ, ასევე სიტყვასიტყვით წაიკითხავენ. ისე გადაიწერენ და წაიკითხავენ, რომ არც ავტორს მიუთითებენ და არც საინფორმაციო საშუალებას.

ახლა თავად პრეს-კონფერენციაზე, სადაც თავისებური მოთელვა გამოუვიდა ჩვენივე გაზეთის თანამშრომელ მერაბ რატიშვილს, რომელიც ატლანტაში საქართველოს დელეგაციის პრეს-ატაშე იქნება. ეს ცნობაც ბევრი ჩვენი კოლეგისთვის ახალი ამბავი აღმოჩნდა ისევე, როგორც პრეს-კონფერენციაზე მოწოდებული ინფორმაცია: თბილისელმა ელვირა ურუსოვამ ძმები ზნამენსკების მემორიალზე, წლეულს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ „გრან პრის" სტატუსი რომ მიანიჭა, ბირთვი 19,01 მეტრზე ჰკრა და IV ადგილი დაიკავა, რითაც „ატლანტა 96"-ის ლიცენზია მოიპოვა.

საინტერესოა, რომ ელვირა ამ შედეგით ევროპის ჩემპიონატზე II ადგილს დაიკავებდა.

ახლა ეს მძლეოსანი რუსეთის ერთ-ერთი სპორტული კლუბის ღირსებას იცავს და იქვე ვარჯიშობს, მაგრამ მოქალაქობა არ შეუცვლია. ასე რომ, იგი ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იქნება.

ასეა თუ ისე, ელვირა ურუსოვა გახდა 33-ე სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მოიპოვა საქართველოდან.

აქვთ თუ არა ჩვენს სხვა სპორტსმენებს ატლანტის ლიცენზიის მოპოვების შანსი?

ითქვა, რომ სათადარიგოთაგან №1 კანდიდატია მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატი ეკა აბრამია და სპორტის მესვეურნი ატლანტაში მის ხილვას იმედოვნებენ.

იმედოვნებენ, რომ ოლიმპიურ სარბიელზე ვიხილავთ ჩვენს სატენდო მსროლელ თამაზ იმნაიშვილსაც. როგორც გვაცნობეს, სწორედ პარეს-კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სპორტის დეპარტამენტმა თამაზ იმნაიშვილისაგან გერმანიის ქალაქ ზულიდან გამოგზავნილი მეტად სასიხარულო ფაქსი მიიღო. თამაზის იქ მსოფლიო თასის ეტაპზე მრგვალ სტენდზე სროლაში უასპარეზებია. როგორც იტყვიან, ტყვია ტყვიაში ჩაუჯენია და ბოლო გასროლა გაცუდებია. მას 150 შესაძლებლობიდან 149 ქულა მოუგროვებია და მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია, მაგრამ მის მთავარ მეტოქეს იტალიელ ანდრეა ბენელის არც ის ბოლო გასროლა გაუფუჭებია და რეკორდი უმალ ჩამოურთმევია — 150 ქულა — 150-დან!

ახლა, როგორც საქართველოს სპორტის მესვეურებმა გვითხრეს, ამ შედეგით აღფრთოვანებულებს სათანადო მისამართებით მორიგი ფაქსები გაუგზავნიათ. ადრესატებს სთხოვენ გაითვალისწინონ იმნაიშვილის ძველი მიღწევები, დღევანდელი ბრწყინვალე შედეგიც და ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მისცენ, რისი იმედიც აქვთ.

დიდ სტარტების წინ, ბუნებრივია, ჩვენი სპორტსმენების შანსებზეც გამახვილდა ყურადღება. ჩვენი სპორტის მესვეურთა აზრით, ატლანტიდან სამივე ხარისხის სამ-სამი მედალს უნდა ველოდოთ. ითქვა ისიც, რომ საქართველოს სპორტსმენების გაჭირვებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისთავად ის ამბავი, რომ ატლანტაში 30-ზე მეტი სპორტსმენი იასპარეზებს, უკვე გმირობაა, ხოლო თუ ისინი დაგეგმილს მიაღწევენ, სპორტულ გმირობაზე მეტი იქნება.

ისიც ითქვა, რომ საქართველოს, ლიცენზიების რაოდენობის მიხედვით, ატლანტაში დღეისთვის 38 სპორტსმენამდე გამოყვანა შეუძლია, მაგრამ ერთია რაოდენობა და მეორე — ხარისხი. თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს, ჯერ ლიცენზირებულ სპორტსმენთა მომზადების დონე რა არის, რომ ულიცენზიოებისა იყოს, მაგრამ ისინი მაინც მიგვყავს ატლანტაშიო. თქვეხ და იქვე ძალოსნების მაგალითი გაიხსენეს. მათგან ორმა სპორტსმენმა კიდევ სამისთვის მოიპოვა ლიცენზია, მაგრამ იმ სამის მომზადების დონე არ გვაკმაყოფილებს და მხოლოდ ამ მოსაზრებების გამო არ მიგვყავს ისინი ოლიმპიადაზეო.

გაირკვა, რომ ჩვენს დელეგაციას ყველა საოლიმპიადო პრობლემა გადაჭრილი აქვს — დაწყებული სპორტსმენთა ყოველგვარი ჩაცმა-დახურვითა და გასრულებული იქ გამგზავრებით. ისინი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ერთი წელია ჩვენი შესაძლებლობების კვალობაზე კარგად ვარჯიშობენ და შეჯიბრებებსაც არ ტოვებენ. ეს შესაძლებელი გახდა მას მერე, რაც სახელმწიფომ დახმარების ხელი გამოუწოდა ჩვენს ოლიმპიელებს. არადა მანამდე ოთხი წლის განმავლობაში სპორტსმენებს სახელმწიფოსაგან ფინანსური დახმარება არ ჰქონიათ. ამ დახმარებამ ნაყოფი გამოიღო. ამის დასტურად გაიხსენეს ძიუდოისტების ბრწყინვალე გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე. მათი შედეგები განაპირობა იმანაც, რომ შეჯიბრებებზე თითოეულ წონით კატეგორიაში 2-3 ძიუდოისტს აგზავნიდნენ.

ისიც ითქვა, რომ სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხა მთლიანად ჩვენს ოლიმპიურ პროგრამას მოხმარდა, მაგრამ მომავალი ოლიმპიელები — მომავალი თაობა — უყურადღებოდ დარჩა.

ზემოთ ვთქვით, ყველა საოლიმპიადო პრობლემა გადაჭრილიაო, მაგრამ ერთი საკითხი ჯერჯერობით ღიად ყოფილა დარჩენილი.

მოგეხსენებათ, ბევარისაგან არც სპორტსმენები არიან თავისუფალნი. ატლანტაში ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონებისთვის პრემიად 50-50 ათასი დოლარის გაღებაა დაწესებული, მეორე-მესამე პრიზიორებისთვისაც და მათი მწვრთნელებისთვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი თანხის პრემიები, მაგრამ იმათ ბევარა უნდა გადაიხადონ. სპორტის დეპარტამენტისა და სეოკის მესვეურნი კი ფიქრობენ, თუ პრემიაა, პრემია იყოს. მეტის შესაძლებლობაც რომ იყოს, იმითაც დავაჯილდოებთ ჩემპიონებს. ამიტომ ერთობლივი ძალისხმევით ვცდილობთ, რომ იქნებ ჩვენმა თავგამოჩენილმა სპორტსმენებმა პრემიები სრულად მიიღონ.

პრეს-კონფერენციაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა სეოკ-ის ამერიკელი ატაშის კელვინ ჰილის მისამართით. ამ პოსტზე მან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლ გრაუნდის მერია და სხვა უამრავი საქმეც აქვს, თავად გამოთქვა სურვილი, რომ ყოფილიყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე ამერიკაში. არადა, ყველა ქვეყანას თავისი მოქალაქე ჰყავს ატაშედ, რომელიც ამერიკაშია მივლინებული, რაც მეტად ძვირი ჯდება, საქართველოს კი კელვინ ჰილის სახით მართლაც ღვთისნიერი კაცი გამოუჩნდა და იმდენი საქმე გააკეთა, რასაც ალბათ ვერასოდეს გადავუხდით. ჯერ მარტო შარშან ჩვენ ოლიმპიელთა უსასყიდლოდ გამართულით შეკრება რად ღირდა ამერიკაში? ან თუნდაც რად ღირს ის, რომ ატლანტაში, ქალაქის გულში ქართველ ოლიმპიელებს უსასყიდლოდ ექნებათ 100 კვ.მ. ფართობის „ქართული სახლი" — საქართველოს სავიზიტო ბარათი, რომლის დაქირავება ჩვენ მხარეს 200-300 ათასი დოლარი დაუჯდებოდა.

ასე რომ, ამ საფეხბურთო ციებცხელებაში არც ოლიმპიური თამაშები დაგვიწყებია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

სარბიელი
ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **13 ივნისი** | | | | |
| ბულგარეთი - რუმინეთი | | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| შვეიცარია - ჰოლანდია | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| **14 ივნისი** | | | | |
| პორტუგალია - თურქეთი | | 1,25 | 3,4 | 6,2 |
| | 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,3 |
| ჩეხეთი - იტალია | | 6,2 | 2,4 | 1,25 |
| | 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| **15 ივნისი** | | | | |
| შოტლანდია - ინგლისი | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| საფრანგეთი - ესპანეთი | | 2,3 | 2,4 | 2,4 |
| **16 ივნისი** | | | | |
| რუსეთი - გერმანია | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ხორვატია - დანია | | 1,8 | 2,8 | 3,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 2,0 | დანია | 20,0 |
| იტალია | 2,2 | პორტუგალია | 12,0 |
| გერმანია | 2,5 | რუმინეთი | 20,0 |
| ჰოლანდია | 5,0 | შოტლანდია | 20,0 |
| ესპანეთი | 6,0 | ბულგარეთი | 20,0 |
| საფრანგეთი | 6,0 | ჩეხეთი | 75,0 |
| ხორვატია | 8,0 | შვეიცარია | 50,0 |
| რუსეთი | 12,0 | თურქეთი | 100,0 |

ჯგუფიდან გასვლის ფსონები ადგილზე დააზუსტეთ

ტირაჟი №35
1 შვეიცარია - ჰოლანდია
2 შოტლანდია - ინგლისი
3 ბულგარეთი - რუმინეთი
4 საფრანგეთი - ესპანეთი
5 ჩეხეთი - იტალია
6 რუსეთი - გერმანია
7 პორტუგალია - თურქეთი
8 ხორვატია - დანია

CROCO-2
მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი (პირველი ტაიმის შედეგი საჭირო აღარ არის). მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი (მინიმალური მოგება 40 ლარი). ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
1 ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება JACK POT 272 ლარი

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო" იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
125 X 74
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

# რაგბი

# შვიდკაცაში ვერ ვვარგებულვართ

შვიდკაცა რაგბის სახალისო ნაირსახეობა კია, მაგრამ მაინც სერიოზული მიდგომა სჭირდება.

ეს თვალნათლივ გამოჩნდა მსოფლიო თასის შესარჩევ შეჯიბრში, სადაც ქართველმა მორაგბეებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყვეს უშუალო კონკურენტებთან და უიმედოდ წააგეს.

უსოდენ საგრძნობი მარცხის მიზეზი ჩვენსავე შინაურობაშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ საქართველოში წელიწადში ერთადერთი შვიდკაცა ეწყობა და ისიც ძალისძალად – ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების უმეტესობა რაგინდარა საშუალებას ხმარობს, შეჯიბრში მონაწილეობას რომ თავი აარიდოს.

ამის გამოა, ჩვენს მორაგბეებს შვიდკაცას თამაშის ხერხებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა რომა აქვთ და მას დიდი რაგბის საწყაოთი უდგებიან. აკი ლისაბონშიც უთქვამთ კავკასიის ერთადერთი წარმომადგენლებისათვის, კარგი ბიჭები კი ხართ, მაგრამ ძლიერ უსწოროდ თამაშობთო.

ახლა საკითხავი ისღაა, რამდენად შეეწევა ეს მარცხი ქართული სარაგბო თემის ჭკუაზე მოყვანას.

„სარბიელი" დიდად ემადლიერება საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურ მდივან გია კუბლაშვილს, ლისაბონიდან სრულად რომ ჩამოიტანა ანგარიშები და ჩვენი გუნდის თამაშთა ვიდეო-ჩანაწერები.




## შვიდკაცას II მსოფლიო თასის ევროპის შესარჩევი ტურნირი

1-2 ივნისი. ლისაბონი

თითოეულ ეტაპზე გუნდები ჯგუფებად ნაწილდებოდნენ ქვემოთ მოტანილი სქემით. კლასიფიკაციაში ითვალისწინებდნენ ჯერ მოგებათა, მერე ლელოთა, ბოლოს კი გატანილი ბურთების მეტობას, ამის შემდეგ კი გატანილი და გაშვებული ქულების შეფარდების უკეთესობას. ეს მონაცემები ცხრილში ამავე რიგით მოვიტანეთ. მსოფლიო თასის საგზურები საბოლოო კლასიფიკაციის 8 მოწინავეს ერგო.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 16 | 15 | 14 | 13 | 12 | 11 | 10 | 9 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |

**განთესვა**

| | |
|---|---|
| 1 | ირლანდია |
| 2 | ზელანდია |
| 3 | ესპანეთი |
| 4 | კორეა |
| 5 | კანადა |
| 6 | ნამიბია |
| 7 | რუმინეთი |
| 8 | ლატვია |
| 9 | პორტუგალია |
| 10 | პოლონეთი |
| 11 | საქართველო |
| 12 | უკრაინა |
| 13 | შვედეთი |
| 14 | ბელგია |
| 15 | მოლდოვა |
| 16 | ნორვეგია |
| 17 | უნგრეთი |
| 18 | ლიტვა |
| 19 | ბულგარეთი |
| 20 | ხორვატია |
| 21 | შვეიცარია |
| 22 | ავსტრია |
| 23 | ანდორა |
| 24 | ლუქსემბურგი |

**პირველი ეტაპი**

I: ირლანდია — უნგრეთი 80:0, უნგრეთი — ნორვეგია 19:10, ირლანდია — ნორვეგია 73:0

II: ზელანდია — ლიტვა 73:0, მოლდოვა — ლიტვა 33:19, ზელანდია — მოლდოვა 92:0

III: ესპანეთი — ბულგარეთი 59:0, ბელგია — ბულგარეთი 66:0, ესპანეთი — ბელგია 24:3

IV: კორეა — ხორვატია 78:5, ხორვატია — შვედეთი 17:12, კორეა — შვედეთი 26:7

V: კანადა — შვეიცარია 43:0, უკრაინა — შვეიცარია 36:0, კანადა — უკრაინა 35:0

VI: ნამიბია — ავსტრია 59:7, საქართველო — ავსტრია 35:7, ნამიბია — საქართველო 59:12

VII: რუმინეთი — ანდორა 74:0, პოლონეთი — ანდორა 52:5, რუმინეთი — პოლონეთი 57:0

VIII: ლატვია — ლუქსემბურგი 41:12, პორტუგალია — ლუქსემბურგი 47:12, პორტუგალია — ლატვია 47:0

**საშუალედო კლასიფიკაცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 2 | 25 | 165 | +∞ |
| ირლანდია | 2 | 23 | 153 | +∞ |
| რუმინეთი | 2 | 21 | 131 | +∞ |
| ნამიბია | 2 | 18 | 118 | 6,2 |
| კორეა | 2 | 16 | 104 | 8,7 |
| პორტუგალია | 2 | 14 | 94 | 7,8 |
| ესპანეთი | 2 | 13 | 83 | 27,7 |
| კანადა | 2 | 12 | 78 | +∞ |
| ბელგია | 1 | 10 | 69 | 2,9 |
| პოლონეთი | 1 | 8 | 52 | 0,9 |
| საქართველო | 1 | 7 | 47 | 0,7 |
| ლატვია | 1 | 7 | 41 | 0,7 |
| უკრაინა | 1 | 6 | 36 | 1,0 |
| მოლდოვა | 1 | 5 | 33 | 0,3 |
| ხორვატია | 1 | 4 | 22 | 0,2 |
| უნგრეთი | 1 | 3 | 19 | 0,2 |
| ლუქსემბურგი | 0 | 4 | 24 | 0,3 |
| შვედეთი | 0 | 3 | 19 | 0,4 |
| ლიტვა | 0 | 3 | 19 | 0,2 |
| ავსტრია | 0 | 2 | 14 | 0,1 |
| ნორვეგია | 0 | 2 | 10 | 0,1 |
| ანდორა | 0 | 1 | 5 | 0,1 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 0 | 0,0 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 0 | 0,0 |

**მეორე ეტაპი**

ა: ზელანდია — ლუქსემბურგი 66:10, ლუქსემბურგი — უნგრეთი 26:0, ზელანდია — უნგრეთი 89:0

ბ: ირლანდია — შვედეთი 33:10, შვედეთი — ხორვატია 28:10, ირლანდია — ხორვატია 47:0

გ: რუმინეთი — ლიტვა 63:3, მოლდოვა — ლიტვა 12:7, რუმინეთი — მოლდოვა 78:0

დ: ნამიბია — ავსტრია 47:7, უკრაინა — ავსტრია 43:5, ნამიბია — უკრაინა 21:7

ე: კორეა — ნორვეგია 61:7, ლატვია — ნორვეგია 19:17, კორეა — ლატვია 28:12

ვ: პორტუგალია — ანდორა 63:10, საქართველო — ანდორა 31:5, პორტუგალია — საქართველო 56:7

ზ: ესპანეთი — შვეიცარია 42:7, პოლონეთი — შვეიცარია 42:0, ესპანეთი — პოლონეთი 28:7

თ: კანადა — ბულგარეთი 80:0, ბელგია — ბულგარეთი 59:0, კანადა — ბელგია 61:0

**საბოლოო კლასიფიკაცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 2 | 23 | 155 | 15,5 |
| კანადა | 2 | 21 | 141 | +∞ |
| რუმინეთი | 2 | 21 | 141 | 47,0 |
| პორტუგალია | 2 | 17 | 119 | 7,0 |
| კორეა | 2 | 13 | 89 | 4,7 |
| ირლანდია | 2 | 12 | 80 | 8,0 |
| ესპანეთი | 2 | 10 | 70 | 5,0 |
| ნამიბია | 2 | 10 | 68 | 4,9 |
| ბელგია | 1 | 9 | 59 | 1,0 |
| უკრაინა | 1 | 8 | 50 | 1,9 |
| პოლონეთი | 1 | 7 | 49 | 1,8 |
| შვედეთი | 1 | 6 | 38 | 0,9 |
| საქართველო | 1 | 6 | 38 | 0,6 |
| ლუქსემბურგი | 1 | 6 | 36 | 0,5 |
| ლატვია | 1 | 5 | 31 | 0,7 |
| მოლდოვა | 1 | 2 | 12 | 0,1 |
| ნორვეგია | 0 | 4 | 24 | 0,3 |
| ანდორა | 0 | 3 | 15 | 0,2 |
| ავსტრია | 0 | 2 | 12 | 0,1 |
| ხორვატია | 0 | 2 | 10 | 0,1 |
| ლიტვა | 0 | 1 | 10 | 0,1 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 7 | 0,1 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0,0 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 0 | 0,0 |

# ფეხბურთი

საქართველოს XXIX [illegible] ჩემპიონატი

IX ტურის პროგრამით „ა" ჯგუფში გუშინ, ქუთაისში ითამაშებდნენ გელათი — აზოტი და აია — დინამო.

დღეს ვაკეში ორი მატჩია. 5 საათზე შეიბმებიან გუმარი და დინამო, 7 საათზე კი ტურის უმთავრესი თამაში დაიწყება:

ლიდერი და „სარბიელის" სინის მფლობელი „ყოჩები" ეთამაშება „ქორებს". წუხანდელი მონაცემებით, სინის გათამაშება მოსალოდნელი არაა.

**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა

125 სმ X 74 სმ

75 სმ X 75 სმ

ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

# ჰოკეი



**ვაცლავ ნედომანსკი** ლეგენდარული ფიგურაა მსოფლიო ჰოკეის ისტორიაში. თამაშს იგი მოევლინა ტოტალიტარიზმის აყვავების ხანაში, მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ და სისხლში ჩაახშვეს „პრაღის გაზაფხული".

იმის მიხედვით, თუ როგორ ეთამაშებოდა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები საბჭოთას, ადვილი მისახვედრი იყო, რა სიმწარე გამოიარეს ჩეხებმა. ომსა და დიდ პოლიტიკაში დამარცხებისათვის შურისძიების გრძნობა თითქმის მთლიანად ჰოკეისტებმა გაითავისეს და არაერთხელ გაამწარეს იმ დროისათვის უძლეველი საბჭოთა ნაკრები. ეს მაშინ გაუკაცრობას უდრიდა.

აი, სწორედ ასეთ გუნდს მიუძღოდა წინ მაღალი, ტექნიკური და ძლიერი ვაცლავ ნედომანსკი. ამიტომაც სძულდათ საბჭოთა კავშირში, ხოლო როცა 1974 წელს ისა და რიჰარდ ფარდა კანადაში დარჩნენ, ნედომანსკის ხსენება საბჭოეთში ლამის ცნობილი დისიდენტების ქების ტოლფასი გახდა.

ჩეხის თამაშის გახსენებაც კი არავის შეეძლო: 1979 წელს „კრილია სოვეტოვი" კანადაში ტურნეს დროს „დეტროიტს" ეთამაშებოდა. ნედომანსკიმ, რომელიც დეტროიტელთა რიგებში იყო, გოლი გაიტანა. რუსმა ტელეკომენტატორმა, რომელსაც ერთხელაც არ უთქვამს, ვინ თამაშობდა „რედ ვინგზის" 20 ნომრად, გოლი ისეთ ჰოკეისტს მიაწერა, მოედანზე საერთოდ რომ არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ვაცლავი გულშემატკივრებს ვერ დაავიწყეს. იგი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იყო, სისტემურად ხვდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატების სიმბოლურ ნაკრებში, 1974 წელს კი მსოფლიოს საუკეთესო ჰოკეისტადაც დაასახელეს.

მას შემდეგ ნედომანსკის შესახებ ბევრი არაფერი გვსმენოდა. ამიტომ ალბათ ბევრს დააინტერესებს მისი ინტერვიუ, რომელიც **„სპორტ-ექსპრესის"** ჰოკეის დამატებაში დაიბეჭდა. დიდ ფორვარდს ესაუბრა წყალში ხტომის ოლიმპიური ჩემპიონი, აწ კი ჟურნალისტი ელენა ვაიცეხოვსკაია.

ინტერვიუს თარგმანს შემოკლებით ვაქვეყნებთ.

# მართალი კაცის ნაშბარი

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— სკაუტი ვარ „ლოს-ანჯელეს კინგზში". ვეძებ ნიჭიერ ჰოკეისტებს კლუბისთვის, ვუყურებ ყველა საინტერესო ტურნირს — სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატებს, ოფიციალურ შეხვედრებს, დავდივარ ამერიკულ და კანადურ კლუბების საზაფხულო შეკრებებზე, ვამაყობ, რომ ჩვენი ჰოკეისტები მსოფლიოს ჩემპიონატებზე კანადის, აშშ-ს, ფინეთის, შვედეთის, ჩეხეთის ნაკრებებში თამაშობენ. სწორედ ჩვენმა იანიკ პერომ გაიტანა გადამწყვეტი ბულიტი კანადა — რუსეთის მატჩში და ჩემი პროგნოზიც, თუ რომელი გუნდები გადავიდოდნენ ფინალში, გამართლდა.

— თქვენ რუსები არ გიყვართ?

— დიახ, არ მიყვარს. რა თქმა უნდა, მწვრთნელები და მოთამაშეები აქ არაფერ შუაშია. ეს სიძულვილი ატავისტურია. როცა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში გამოვდიოდი, ჩვენი და საბჭოთა ნაკრების თამაშთა საბოლოო შედეგი უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში წყდებოდა — რა თქმა უნდა, პოლიტიკურად ძლიერი ქვეყნის სასარგებლოდ. მესმის, რომ ცნობილი მწვრთნელები ჩერნიშოვი და ტარასოვი დამოკიდებულნი იყვნენ სისტემაზე, მაგრამ ძალიან ძნელი იყო მუდმივად შეურაცხყოფის ატანა, პროვოკაციისა და დაცინვის მოთმენა.

— ეს ალბათ იმიტომ, რომ თქვენი ეშინოდათ?

— შეიძლება, მაგრამ მე არც ისეთი ფლეგმატური ვარ, ყოველივე ეს რომ მეთმინა. ამიტომ სსრკ-ს ხსენება ჩემში მუდამ ზიზღს იწვევდა. მოთმინების ფიალა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ამევსო. მაშინ საუკეთესო ჰოკეისტად მალიარეს. როდესაც პრიზი გადმომცეს, ერთ-ერთი საბჭოთა მწვრთნელისაგან ჩემი ცოლის გინება მივიღე მილოცვის ნაცვლად.

— რუსული კარგად გცოდნიათ...

— სკოლაში ეს სავალდებულო საგანი იყო.

— ინგლისურიც სკოლაში ისწავლეთ?

— არა. მხოლოდ რუსული და გერმანული. ინგლისური უკვე მერე, როცა კანადაში დავრჩი.

— ვინმემ იცოდა, კანადაში დარჩენას რომ აპირებდით?

— არა. არც მშობლებმა, არც ცოლმა. ცოლს არც არაფერი წამოუღია თან, მხოლოდ სამი წლის ბავშვისთვის აუცილებელი ნივთები ჰქონდა.

— თქვენს შემდეგ კანადაში 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მილენა დუხკოვა დარჩა...

— კარგად მახსოვს, როგორ გვაფრთხილებდნენ სპორტკომიტეტში — დუხკოვას ქუჩაში თუ დავინახავდით, მეორე მხარეს უნდა გადავსულიყავით. მისი მწვრთნელი მარია ჩერმაკოვა კარგა ხანს არასასურველ პერსონად ითვლებოდა საბჭოთა კავშირში. აქედან მიხვდებით, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი მე. მშობლიურ ბრატისლავაში ჩასვლის შანსი მხოლოდ 18 წლის შემდეგ მომეცა. დედაჩემი ახლაც ცოცხალია, მამა კი მაშინ გარდაიცვალა — ჩემს გამო ლანძღვა ვერ აიტანა.

— ღირდა კი ეს ყველაფერი ამად?

— ძნელი სათქმელია. ვიცი ბევრი მოთამაშე, რომელიც ახლაც განიცდის, თავისი შესაძლებლობები სრულად რომ ვერ გამოავლინა. კანადაში სულ სხვა ჰოკეია. მინდოდა სწორედ ეს ჰოკეი მეთამაშა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წლის მერე მივხვდი, რომ ძნელია 30 წლისამ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

— კანადაში წასვლამდე თუ გქონდათ გუნდებისგან მიწვევა?

— არა. თავიდან ტორონტოში ვცხოვრობდი. მერე ექვსი სეზონი ვითამაშე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში (ნჰლ).

— მწვრთნელობა არ გიცდიათ?

— კი. ერთი ეგაა, მწვრთნელის პროფესია დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ამიტომ ჩემი ახლანდელი სამუშაო უფრო მომწონს.

— ალბათ, რუსეთის ნაკრებზე კარგს არაფერს იტყვით?

— რატომ? ძალიანაც კარგი გუნდია, მაგრამ რუსეთში ჰოკეი ისეთივე სიძნელეებს განიცდის, როგორსაც ჩეხეთში. ძალიან ბევრი ჰოკეისტი მიდის ამერიკაში სათამაშოდ.

გადმოაქართულა

**კოტე მგალობლიშვილმა**

# სხვადასხვა

**ჩოგბურთი** უიმბლდონი იქეთა ორშაბათს, 24 ივნისს იწყება. მისთვის სამზადისია სამი შეჯიბრი: ვაჟთა ორი — როზმალენში (ჰოლანდია) და „ქვინზ კლაბში" (ლონდონი), და ერთიც ქალთა — ეჯბასტონში (ბირმინგემი).

ეჯბასტონში გუშინწინ წვიმდა და თამაშები არ გამართულა. როზმალენში ორშაბათსვე გავარდა პირველ ნომრად განთესილი ფრანგი არნო ბეჩი, ვინაც ორ ხელში წააგო თანამემამულე სტეფან სიმიონთან. მისი ხვედრი გაიზიარა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმაც (7). ლონდონში არ თამაშობს შარშანდელი ჩემპიონი პიტ სამპრასი, ვინაც ერთობ დაღალა საფრანგეთის ღია პირველობამ. პირველ ნომრად განთესილ ავსტრიელ თომას მუსტერს სამშაბათს დიდი ომი გადახდა ფრანგ გიიომ რაუქსთან, ვიდრე 6:7, 7:5: 7:6 გაიმარჯვებდა. სამაგიეროდ, „როლან გაროსის" გამცდენმა გერმანულმა ბორის ბეკერმა (2) ერთ საათზე ნაკლები მოანდომა სამხრეთაფრიკელი ქრის ჰაგერთის 6:4, 6:2 ძლევას.

**გოლფი** დღეს ოუქლენდ-ჰილზში (დეტროიტი, მიჩიგანი, აშშ) წლის მეორე „მეიჯორი" — აშშ-ის ღია პირველობა იწყება. შეჯიბრება 96-ედ იმართება. შარშან გაიმარჯვა ამერიკელმა ქორი პეივინმა. ზედ სტარტის წინ ცნობილი გახდა, რომ ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებენ მსოფლიოს მე-4 მეგოლფე, ზიმბაბველი ნიკ პრაისი (1994 წლის ჩემპიონი) და მე-7 ნომერი, ამერიკელი ფრედ ქაფლზი. წლის პირველი „მეიჯორი" (ჩოგბურთის „დიდი სლემის" ტურნირის ანალოგი) — აშშ-ის საოსტატო ჩემპიონატი („მასტერსი") აპრილში ინგლისელმა ნიკ ფალდომ მოიგო. შეჯიბრისათვის თვალის დევნება Ayety TV-ის ერთბაშად რამდენიმე არხით შეიძლება.

**ველორბოლა** საფრანგეთის ტური — „ტურ დე ფრანსი" 29 ივნისს იწყება ჰოლანდიაში. სამშაბათს გაჩაღებული შვეიცარიის ტურის პირველი ეტაპი — 5-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა მოიგო რუსმა ევგენი ბერზინმა, ვინაც დსიტანცია 7.00,65-ში განვლო. მასთან 2 წამი წააგო დანიელმა ბიარნე რიისმა.

**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ მეძველია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

სარედაქციო კოლეგია:
**ილია ბაბუნაშვილი**
**ვახტანგ ბზიკაძე**
**ზაალ გიგინეიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
**მამუკა კვარაცხელია**
**მერაბ რატიშვილი**

კომერციული დირექტორი
**ბიძინა ოქრომჭედლიძე**

გამომცემელი
**ზურაბ ფოცხვერია**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29